INTERNATIONAL MONETARY FUND
EXTERNAL RELATIONS DEPARTMENT

პრესს რელიზი № 09/359
გავრცელდეს დაუყოვნებლივ
10 ოქტომბერი, 2009

საერთაშ რისო სავალუტო ფონდი
ვაშინგტონი, კოლუმბიის ოლქი, 0431 აშშ

საერთაშორისო სავალუტო ფონდის აღმასრულებელ დირექტორთა განცხადება საქართველოში ვიზიტის დასრულებისას

საერთაშორისო სავალუტო ფონდის აღმასრულებელ დირექტორთა მისაიმ, რომლის შემადგენლობაშიც შედიან ქალბატონი მეგ ლუნდსგერი, ბატონები ად ბაკერი, ჰი იანგხიონგი, ტომას მოსერი, კლაუს სტეინი, და იანს ჰენრიკსონი გააკეთა შემდეგი განცხადება საქართველოში მისიის დასრულებისას.

“ჩვენ მოხარულები ვართ, რომ მოგვეცა თქვენს ქვეყანაში ვიზიტით ყოფნის საშუალება და მადლობას ვუხდით ქართველ ხალხს, პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილს, პრემიერ მინისტრს ნიკა გილაურს და ეკონომიკური გუნდის სხვა წევრებს სტუმართმოყვარეობისა და პროდუქტიული დისკუსიისთვის. ამ ვიზიტის ფარგლებში ჩვენ გვქონდა შესაძლებლობა შევხვედროდით ხელისუფლების წარმომადგენლებს და ეკონომიკური პროცესების ფორმირებაში მონაწილე სხვა მხარეებს, საჯარო და კერძო სექტორის წარმომადგენლებს. ჩვენ განვიხილეთ ის გამოწვევები, რომელთა წინაშეც დგას საქართველო გასული წლის აგვისტოს შეიარაღებული კონფლიქტის და გლობალური ეკონომიკური კრიზისის ფონზე.

“საქართველოს ეკონომიკაზე ნეგატიური გავლენა იქონია კრიზისმა და კრიზისის ფინანსური და ეკონომიკური გავლენა 2010 წელსაც გაგრძელდება. იმის გათვალისიწნებით, რომ სამომავლო გამოწვევების განჭვრეტა ძნელია, კრიტიკულ მნიშვნელობას იღებს მთავრობის გადაწყვეტილება აწარმოოს მოქნილი გაცვლითი კურსის პოლიტიკა და გონივრული ფისკალური და მონეტარული პოლიტიკა.

“ჩვენ მხარს ვუჭერთ მთავრობის მიერ შემოთავაზებულ ფისკალურ სტიმულს, რომელიც მიმართულია კრიზისის ნეგატიური გავლენის გასანეიტრალებლად და მათ გადაწყვეტილებას, რომ ფისკალური კორექტირება 2010 წლიდან დაიწყოს, რაც გამოიხატება ბიუჯეტის დეფიციტის შემცირებით ისეთ დონემდე, რომელის დაფინანსებაც უფრო ადვილად იქება შესაძლებელი. ჩვენ ვიწონებთ იმ ნაბიჯებს, რომლებიც მიმართულია ფისკალური პოლიტიკის გამკაცრებისკენ საჯარო ხარჯების მონიტორინგის, დაგეგმვის, ხარჯვის და აუდიტის კუთხით.

“გაცვლითი კურსის პოლიტიკის მხრივ, ჩვენ ვიწონებთ ხელისუფლების წარმატებულ ნაბიჯს: უცხოური ვალუტის ყოველდღიური სავაჭრო სესიების სავალუტო აუქციონებით ჩანაცვლებას. ამ ნაბიჯით იქმნება საფუძველი გაცვლითი კურსის მეტი მოქნილობისთვის ბაზარზე შექმნილი ვითარების საპასუხოდ.

“მონეტარული პოლიტიკის კუთხით, ჩვენ მხარს ვუჭერთ ხელისუფლების გადაწყვეტილებას მონეტარული პოლიტიკის შერბილების შესახებ ეკონომიკური განვითარების ხელშესაწყობად, თუმცა აქვს უნდა ვაღიაროთ, რომ ტრადიციულ ეკონომიკურ ინსტრუმენტებს არსებულ ვითარებაში მხოლოდ შეზღუდული გავლენის მოხდენა შეუძლია.

“საქართველოს საბანკო სექტორმა გაუძლო აქამდე შექმნილ გამოწვევებს, თუმცა, ისევე როგორც ყველგან სხვაგან, ბანკების წინაშე არსებული რისკების მატების ფონზე აუცილებელია ბანკების გულდასმითი მონიტორინგი და კრიზისთან გასამკლავებელი ღონისძიებების წინასწარი მომზადება.

“ჩვენ გიდასტურებთ სსფ-ს მზადყოფნას გავაგრძელეოთ შესანიშნავი ურთიერთობები თქვენს ქვეყანასთან და საქართველოს ხელისუფლების მხარდაჭერა.